წმინდა სინოდმა კვიპროსის ეკლესიის ახალი წინამძღვრის მოხსენიების შეუძლებლობა დაადასტურა

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 03.16.2023. 2023 წლის 16 მარტს წმინდა სინოდის **სხდომის** მონაწილეებმა იმსჯელეს კვიპროსის მართლმადიდებელი ეკლესიის ახლად არჩეული წინამძღვრის მიერ უკრაინაში მოქმედი სქიზმატური სტრუქტურის მეთაურის მოხსენიების შედეგების შესახებ.

მანამდე, 2020 წლის 20 ნოემბრის სხდომაზე (**ჟურნალი №77**), წმიდა სინოდმა დაადასტურა, რომ შეუძლებელია კვიპროსის მთავარეპისკოპოს ქრიზოსტომოს II-ის სახელის მოხსენიება დიპტიქებში და მასთან ლოცვით და ევქარისტიულ ზიარებაში ყოფნა, რადგან მის მიერ აღიარებულია ერთ-ერთი სქიზმატური დაჯგუფება უკრაინაში და მის მეთაურს იგი მოიხსენიებს ავტოკეფალური ეკლესიების წინამძღვრებს შორის. წმინდა სინოდმა მაშინვე განაცხადა, რომ შეუძლებელია კვიპროსის მართლმადიდებელი ეკლესიის იმ იერარქებთან თანამსახურება, რომლებიც ეკლესიურ ზიარებაში არიან უკრაინული განხეთქილების წარმომადგენლებთან.

2022 წლის 7 ნოემბერს მთავარეპისკოპოსი ქრიზოსტომოს II **გარდაიცვალა.** კვიპროსის მართლმადიდებელი ეკლესიის ახლად არჩეულმა წინამძღვარმა თავისი გარდაცვლილი წინამორბედის კვალად, განაგრძო უკრაინელი სქიზმატიკოსების ლიდერის მოხსენიება.

ამასთან დაკავშირებით, წმიდა სინოდმა დაადასტურა ახალი იუსტინიანესა და სრულიად კვიპროსის მთავარეპისკოპოს გიორგის მოხსენიების შეუძლებლობა დიპტიქებში, ლოცვითი და ევქარისტიული ზიარება მასთან, აგრეთვე კვიპროსის მართლმადიდებელი ეკლესიის იმ იერარქებთან, რომლებიც შევიდნენ ან შევლენ სქიზმატიკოსებთან საეკლესიო ზიარებაში (**ჟურნალი №14**).

წყარო: https://mospat.ru/ge/news/90128/